



**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა  
ბინადრობის საკითხთან დაკავშირებულ დავებზე  
(2021-2024 წლები)**

ნაშრომი მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის  
ცენტრის მიერ

**შემდგენელი  
ლიანა ლომიძე**  
ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და  
განზოგადების განყოფილების მთავარი კონსულტანტი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ანალიტიკური განყოფილება**

თბილისი

2024

## Contents

შესავალი .....	3
კვლევის მიზნები და ამოცანები .....	6
საქართველოს კანონმდებლობა ბინადრობის საკითხთან დაკავშირებით .....	6
საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებანი ბინადრობის პრობლებასთან დაკავშირებით .....	8
საერთაშორისო პრაქტიკის განმარტებანი კვლევის საგანთან დაკავშირებით .....	10
ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის საკითხის განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები .....	14
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება .....	18
სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციის შეფასება .....	19
ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი .....	23
საქართველოში ბინადრობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი .....	25
უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძველი .....	29
ბინადრობის ნებართვის სახეები .....	32
შრომითი ბინადრობის ნებართვა .....	33
სასწავლო ბინადრობის ნებართვა .....	38
საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა .....	40
საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა .....	42
დროებითი ბინადრობის ნებართვა .....	45
მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა .....	46
სპეციალური ბინადრობის ნებართვა .....	49
საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა .....	50
ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით .....	53
ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება .....	57
მუდმივი ბინადრობის ნებართვა .....	60
უვადო ბინადრობის ნებართვა .....	66
მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა .....	67
მირითადი მიგნებები .....	68

## ბინადრობის უფლების გაცემასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა

### შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამგვარად, სწორედ სახელმწიფოა უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დაარეგულიროს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში.

საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები,

როგორებიც – საქართველოს მოქალაქეს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უცხოელთათვის განსაკუთრებით აქტუალურია ბინადრობის ნებართვის აღება. საქართველოში ბინადრობის ნებართვა არის ლეგალური სტატუსი, რომელიც საშუალებას აძლევს უცხოელს არა მხოლოდ იცხოვროს ქვეყანაში ყოველგვარი დროის შეზღუდვის გარეშე, არამედ დაამყაროს სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობა კომერციულ და სამთავრობო უწყებებთან, ფიზიკურ პირებთან იმავე პირობებით, როგორც მოქალაქეები. ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილია სსიპ სერვისების განვითარების სააგენტო. ბინადრობის ნებართვა ადასტურებს უცხოელის უფლებას, შემოვიდეს და იმყოფებოდეს საქართველოში ან ტრანზიტით გაიაროს საქართველოს ტერიტორია ბინადრობის ნებართვის მოქმედების პერიოდში. იგი ასევე, უფლებას იძლევა, რომ ნებართვის მფლობელმა საქართველოში მოიწვიოს უცხო ქვეყნის სხვა მოქალაქე. უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხები დარეგულირებულია საქართველოს კანონით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით, შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა, ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები.

აღნიშნული მოუთითებს სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე – იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნას შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ბინადრობის ნებართვის მისაღებად უცხოელმა პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით განცხადებით უნდა მიმართოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს,

იუსტიციის სახლის ფილიალს, საზოგადოებრივ ცენტრს ან სახლიდან გაუსვლელად ელექტრონულად შეავსოს განაცხადი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურის მეშვეობით, ვებგვერდიდან: <http://sda.gov.ge>. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს წარედგინებათ საქართველოს სახელმწიფო ენაზე. განცხადების მიღება ასევე, შესაძლებელია ინგლისურ და რუსულ ენებზეც. ამასთან, უცხოელის პასპორტი სააგენტოს შეიძლება წარედგინოს ქართულენოვანი თარგმანის გარეშე, თუ იგი შეიცავს უცხოელის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით.

უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემისას ყოველთვის არსებობს საჯარო ინტერესი, რომლის დაცვის საჭიროებაზე მითითებაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, თუმცა რომელიმე საჯარო ინტერესზე აბსტრაქტული მითითება როგორც წესი, არ ქმნის უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სათანადო, თვითკმარ დასაბუთებას მით უფრო მაშინ, როდესაც ამ ინტერესს უცხოელის და მისი ოჯახის წევრთა<sup>1</sup> კერძო ინტერესი უპირისპირდება<sup>2</sup>.

ზოგ შემთხვევაში, საქართველოში უცხოელისთვის მისი ყოფნის სამართლებრივი სტატუსი ისეთ ფუნდამენტურ უფლებებთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა: ოჯახის ურლვევობის უფლება, ბავშვის უფლებები, სიცოცხლის უფლება, კერძო საკუთრების უფლება და ა. შ.

ამდენად, ნებისმიერი უცხოელი, რომელმაც მიიღო ბინადრობის ნებართვის სტატუსი, სარგებლობს მოქალაქის ყველა უფლებითა და თავისუფლებით ასევე, ეკისრება მასთან თანაბარი სამართლებრივი და სოციალური პასუხისმგებლობა. ერთადერთი განსხვავება ბინადრობის მოწმობის მქონე უცხოელისა და მოქალაქის უფლებებს შორის არის პოლიტიკურ არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის შეუძლებლობა. უცხოელს, რომელიც კანონიერად იმყოფება საქართველოში, თავდაპირველ მიზანთან მიმართებაში, შეზღუდვის გარეშე შეუძლია რომელიმე სახის ბინადრობის ნებართვის მიღება. გარდა ამისა, უცხოელს, თუკი მას აქვს რომელიმე სახის ბინადრობის ნებართვა, უფლება აქვს

<sup>1</sup> ოჯახის წევრი – უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ ან/და სრულ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუნარო პირი; არასრულწლოვანი უცხოელის ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვანის შშობელი; საქართველოს მოქალაქის უცხოელი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ ან/და სრულ კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანი, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის შშობელი.

<sup>2</sup> სუსკ №ბს-631(კ-21) 06.04.23.

მიიღოს სხვა სახის ბინადრობის ნებართვა, თუ იგი რასაკვირველია, შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გასაცემად დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

## კვლევის მიზნები და ამოცანები

მოცემული კვლევის მიზანია უცხოელთა ინტეგრაციის კუთხით, საქართველოში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის, საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესწავლის საფუძველზე, ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკაში არსებული გამოწვევების იდენტიფიკაცია და სასამართლო პრაქტიკის ძირითადი მიმართულებების შესწავლა.

კვლევის ამოცანები მოიცავს: საქართველოში უცხოელების იმიგრაციის მიზეზების შეფასებას და ანალიზს; უცხოელ სტუდენტებზე, შრომითი და სხვა კატეგორიის იმიგრანტებზე გაცემული ბინადრობის ნებართვების ანალიზს, ასევე უცხოელების საქართველოში შემოსვლისა და ცხოვრების მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზს. კვლევის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფი უცხოელები.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გაანალიზებული იქნა შრომითი, სასწავლო, ოჯახის გაერთიანების მიზნით, მუდმივი, საინვესტიციო, მოკლევადიანი და სპეციალური და სხვა სახის ბინადრობის ნებართვები.

## საქართველოს კანონმდებლობა ბინადრობის საკითხთან დაკავშირებით

საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძვლებია: ა) საქართველოს ვიზა, ბ) საქართველოში ბინადრობის ნებართვა; გ) საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირის დროებითი ბინადრობის მოწმობა; დ) დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა; ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები. საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს.

საქართველოში შემოსვლაზე შეიძლება უარი ეთქვას უცხოელს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ისეთ საერთაშორისო დანაშაულებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ტერორიზმი, ნარკოტიკების კონტრაბანდა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). უცხოელის საქართველოში შემოსვლა, ყოფნა, ტრანზიტით გავლა და საქართველოდან გასვლა რეგულირდება შემდეგი პრინციპებით: ა) ნაცვალგების პრინციპი; ბ) ოჯახის ერთიანობის პრინციპი; გ) დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი; დ) არგამევების პრინციპი; ე) ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი.

საქართველოში ბინადრობის ნებართვების გაცემის სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვარს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის IV თავი. კანონის მიზანია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები.

საქართველოში შემოსვლის და ყოფნის ერთ-ერთი საფუძველია ბინადრობის ნებართვა და მისი გაცემა ხდება საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, უკეთუ იგი კანონით განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს.<sup>3</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენებ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცემად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ დამატებით ორდღიანი ვადა მიეცემათ. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის

<sup>3</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, 14.1 მუხლი.

წარუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში<sup>4</sup>.

## საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებანი ბინადრობის პრობლებასთან დაკავშირებით

- საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმიგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმიგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს...“<sup>5</sup>.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „სახელმწიფოსა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შორის, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, არსებობს განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირი, რაც მრავალ ასპექტში გამოიხატება“.<sup>6</sup> „საქართველოში მცხოვრები უცხოელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები სახელმწიფოსთან, ისინი წარმოადგენენ ქართული საზოგადოების წევრებს და საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ყოფა-ცხოვრებაში, მის წინსვლასა და განვითარებაში. უცხოელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ინტენსიურად ექცევიან საქართველოს სამართლებრივი რეგულირების სფეროში და ნორმატიული წესრიგის ფორმირება როგორც წესი, საქართველოს მოქალაქის თანაბრად ახდენს გავლენას მათ საქმიანობაზე, არსებობასა და განვითარებაზე. დემოკრატიული საზოგადოების არსებობა მოითხოვს მისი თითოეული წევრის უფლების პატივისცემას, საზოგადოების წევრებისათვის

<sup>4</sup> სუსგ №ბს-440(კ-22) 24.11.22; №ბს-1038(კ-22) 13.11.23; №ბს-1283(კ-22) 15.16.23; №ბს-647(კ-22) 12.01.23.

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-13.

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის №2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ფამილიანი და სომხეთის მოქალაქეები - მოლენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

განვითარების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას. სწორედ საქართველოში მცხოვრები უცხოელის სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი განაპირობებს იმას, რომ კონსტიტუციამ მათ განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა და კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის კონტექსტში მნიშვნელოვნად გაუთანაბრა საქართველოს მოქალაქეებს.“<sup>7</sup>

- ყურადღება უნდა გავამახვილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მსჯელობაზე, რომლის თანახმად, თანაზომიერების პრიციპი „წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღვდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადევ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“<sup>8</sup>
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ არსეს, მნიშვნელობას, უმთავრეს პრინციპებს<sup>9</sup>. ქორწინების თავისუფლება კონსტიტუციის შესაბამისად, თანაბრად ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე. რაც შეეხება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ქორწინების თავისუფლების კანონით შეზღუდვას, ის ისეთივე გადამოწმებას ექვემდებარება, როგორსაც ზოგადად, ქორწინების თავისუფლების შეზღუდვა<sup>10</sup>.

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-94,95.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/425. საქმეზე „საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, 3.2

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/425 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, 3.10.

## საერთაშორისო პრაქტიკის განმარტებანი კვლევის საგანთან დაკავშირებით

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სამართლებრივი დაცვის ზომებს საჯარო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში თვითონებური ჩარევის საწინააღმდეგოდ. როცა საქმე ეხება ფუნდამენტური უფლებების შელახვას, აღმასრულებლისადმი მინიჭებული სამართლებრივი დისკრეციის გამოვლენა შეუზღუდავი უფლებამოსილების სახით, შეუსაბამო იქნება კანონის უზენაესობასთან, რაც დემოკრატიული საზოგადოების კონვენციაში ჩადებული ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია;“<sup>11</sup>“
- არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ადეკვატური და ქმედითი დაცვის საშუალებები ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მათ შორის, სასამართლოების მხრიდან უფლებითი, გულდასმით განხილვის კონკრეტული პროცედურები, რადგან საიდუმლო სადაზვერვო სამსახური, შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მოიცავს რისკს, ძირი გამოუთხაროს ან სულაც გაანადგუროს დემოკრატია მისივე დაცვის საფუძვლით;<sup>12</sup>
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას,<sup>13</sup> თუმცა, სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს;
- ევროპული სასამართლოს აზრით, ქვეყანაში უცხოელთა შემოსვლისა და ყოფნის რეგულირება ხორციელდება არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და დანაშაულთან ბრძოლის მიზნით;<sup>14</sup>

<sup>11</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ,“ 1984 წლის 2 აგვისტო, §68, სერიები A, №82.

<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ“ [დოდი პალატა], №28341/95, §§ 55 და 59, ECHR, 2000-V.

<sup>13</sup> 20.06.2002. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§114), 06.12.2007w. „Liu v. Russia“ (§49), 28.06.2011. „Nunez v. Norway“ (§66), 21.06.1988. „Berrehab v. the Netherlands“ (§28), 03.10.2014. „Jeunesse v. The Netherlands“ (§100), 13.12.2012w. „De Souza Ribeiro v. France“ (§77), 24.04.1996. „Boughanemi v. France“ (§41) და სხვ.

<sup>14</sup> „Popov v. France“ (§137), 19.01.2012.

- სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ უცხოელთა ქვეყნაში შესვლისა და იქ დარჩენის ხანგრძლივობის რეგულირება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდთა უფლებებში ჩარევა იყოს აუცილებელი და მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროცესული;<sup>15</sup>
- სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლები განსაკუთრებით ფართოა.<sup>16</sup> სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია იმის დასადგენად, თუ რა წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფო უშიშროებისთვის,<sup>17</sup> მაგრამ ეს არ გამორიცხავს აუცილებლობისა და პროცესულობის საკითხებზე მსჯელობის, საჯარო და კერძო ინტერესის ურთიერთშეპირისპირების საჭიროებას. ეროვნული უშიშროებისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც კი, გადაწყვეტილებები, რომლებმაც პირის უფლებებში ჩარევა გამოიწვია, უნდა დაექვემდებაროს სათანადო კონტროლს, რომელიც უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება შეეძლება.<sup>18</sup> ამდენად, ევროპული სასამართლო არ უარყოფს სახელმწიფოს მიერ უცხოელის თავის ტერიტორიაზე შესვლის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა, იმ პირობით, რომ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და მასზე ქმედითი კონტროლი განხორციელდება;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით;<sup>19</sup>
- ამასთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადაწყვიტოს და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამორიცხოს;<sup>20</sup>
- კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს თავისუფლება აკონტროლოს მის ტერიტორიაზე უცხოელის შემოსვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები;<sup>21</sup>

<sup>15</sup> „Berrehab v. The Netherlands“ (§28), 21.06.1988.

<sup>16</sup> „Leander v. Sweden“, 26.03.1987.

<sup>17</sup> „Liu v. Russia“ (§57), 06.12.2007.

<sup>18</sup> „Al-Nashif v. Bulgaria“ (§123, 124), 20.06.2002, „Chahal v. The United Kingdom“ (§127, 145), 15.11.1996.

<sup>19</sup> Case of Leander v. Sweden.

<sup>20</sup> Case of Lupsa v. Romania.

<sup>21</sup> Case of Khasanov and Rakhmanov v. Russia, 2022, §93

- იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას, გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლოა საჭირო გახდეს საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება.<sup>22</sup> ამასთანავე, ინფორმაციასთან დაშვების პროცედურული შეზღუდვები შეიძლება აუცილებელი იყოს იმ საიდუმლო ინფორმაციის ნებისმიერი სახით გამუღვანებისგან თავიდან აცილების მიზნით, რომლის ღიაობამაც სახელმწიფო უსაფრთხოებას ზიანი შეიძლება მიაყენოს;<sup>23</sup>
- ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში,<sup>24</sup> განმარტა, რომ „განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ყველა ინფორმაციის პირადად გაცნობის შეუძლებლობა, თავისთავად არ ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არ იყო გამართლებული ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საფრანგეთის ხელისუფლების მიერ განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა იყო მიზნის პროპორციული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ შესაბამისად, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევა და მხარის მიერ გაცნობის შეუძლებლობა ავტომატურად არ გულისხმობს პირის უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას;
- სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტიანად მიჩნევა არ არის დამოკიდებული მოსარჩევის სასარგებლო შედეგის დადგომაზე, ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნა გულისხმობს, რომ კომპეტენტური დამოუკიდებელი ორგანო უცხოელის ბინადრობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლებზე ინფორმირებული იყოს, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს მონაცემი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი (მაგ.: სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია), ამასთანავე, მითითებული ორგანო აღჭურვილი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მოსაზრებების უარყოფის შესაძლებლობით, თუ იგი ამ მოსაზრებებს დაუსაბუთებლად და თვითნებურად ჩათვლის.<sup>25</sup>
- საქმეზე ღუპსა რუმინეთის წინააღმდეგ, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩინის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას.“<sup>26</sup> ადამიანის

<sup>22</sup> „Liu v. Russia“ 06.12.2007. (§62).

<sup>23</sup> „Al-Nashif v. Bulgaria“ (§137), 20.06.2002. „C.G. and oth. v. Bulgaria“ (§57) 24.04.2008.

<sup>24</sup> „Dalea v. France“, 964/07; 02.02.2010.

<sup>25</sup> „Al-Nashif v. Bulgaria“, §132, 137, 20.06.2002.

<sup>26</sup> Lupsa v. Romania, №10337/04, §39, 08.06. 2006.

- უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა, პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს, რომ სადაც ღონისძიება ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია.<sup>27</sup>
- ის, რომ სახელმწიფოს, მასზე დაკისრებული საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე, აქვს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის და ყოფნის ხანგრძლივობის კონტროლის უფლება – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა, კერძოდ: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას, თუმცა, სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს.<sup>28</sup>
  - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია ერთმანეთს დაუპირისპირდეს, ურთი მხრივ, ოჯახის ერთიანობისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის უფლება, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებისათვის პირის ამ უფლებაში ჩარევის თანაზომიერება და აუცილებლობა. ამდენად, სასამართლო ვალდებულია ყველა მსგავს შემთხვევაში გადაწყვეტილება სწორედ ამ ორი საკითხის ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიღოს, რაც ერთ შემთხვევაში გულისხმობს, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში თანაზომიერი და აუცილებელი ჩარევის კანონიერად მიჩნევას, ხოლო მეორე შემთხვევაში მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის არათანაზომიერად/არააუცილებლ ღონისძიებად მიჩნევას.<sup>29</sup>

<sup>27</sup> იქვე, 37-38.

<sup>28</sup> Lupsa v. Romania, 20.06.2002; Nunez v. Norway, 21.06.1988; Jeunesse v. The Netherlands, 13.12.2012.

<sup>29</sup> Jeunesse v. The Netherlands, დიდი პალატა, №12738/10, 03.10.2014; Liu v. Russia №42086/05, 06.12.2007; Nunez v. Norway, №55597/09, 28.06.2011.

- აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ლეანდერი შვედეთის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის ინდივიდუალური და სახელმწიფო/ეროვნული ინტერესების ურთიერთდაპირისპირებას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ შვედეთის მთავრობას უფლება ჰქონდა, დაედგინა ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი აპლიკანტის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მართლზომიერი ჩარევის საფუძვლების გათვალისწინებით. აღნიშნული ადასტურებდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფართო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული აქტი, რომელიც გამოიცა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით, უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიზანშეწონილობის საკითხზე შესაბამისი უწყებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.
- საქმეზე კლასსი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ,<sup>30</sup> სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, კერძოდ, აპლიკანტის მიერ გასაჩივრებული კანონი (შეზღუდვები ელექტრონული ფოსტის და ტელეკომუნიკაციის საიდუმლოებაზე) და სასამართლომ მიიჩნია საჭიროდ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე და დანაშაულისა და არეულობის პრევენციის მიზნით.
- საქმეზე სეგერშტედტ-უიბერგი და სხვები შვედეთის წინააღმდეგ,<sup>31</sup> სასამართლომ ასევე, არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, კერძოდ, ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესებს უპირატესობა მიენიჭა აპლიკანტის ინტერესებთან შედარებით, რომელიც ითხოვდა დაცვის პოლიციაში მასზე არსებული საქმის მასალების გადაცემას.

**ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი განმარტებები:**

- ევროპული სასამართლოს განმარტებით, მშობლებისა და მათი შვილის ერთმანეთთან ურთიერთობა ოჯაზური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს.<sup>32</sup> სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია

<sup>30</sup> Klass and others v. Germany 06.09.1978.

<sup>31</sup> Segerstedt-Wiberg and others v. Sweden, 26.06.2006.

<sup>32</sup>. „Popov v France“ (§134). 19.01.2012.

- ერთმანეთს დაუპირისპირდეს ერთი მხრივ, ოჯახის ერთიანობისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის უფლება, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებისათვის პირის ამ უფლებაში ჩარევის თანაზომიერება და აუცილებლობა. ამდენად, სასამართლო ვალდებულია ყველა მსგავს შემთხვევაში გადაწყვეტილება სწორედ ამ ორი საკითხის ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიღლოს, რაც ერთ შემთხვევაში გულისხმობს, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში თანაზომიერი და აუცილებელი ჩარევის კანონიერად მიჩნევას, ხოლო მეორე შემთხვევაში – კონვენციის იმავე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის არათანაზომიერად/არააუცილებელ ღონისძიებად მიჩნევას.<sup>33</sup>
- ამ ორი ინტერესიდან რომელიმე მათგანი იმთავითვე არ გადაწონის მეორე ინტერესს, მათი შეპირისპირება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ და შეაფასონ მტკიცებულებათა მიზანშეწონილობა, ლოგიკურობა და პროპორციულობა ბავშვის არამოქალაქე მშობლის გაძევებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, რათა ყურადღების გამახვილება მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, რომელზეც განსახორციელებელი ღონისძიება პირდაპირ გავლენას მოახდენს. ბავშვებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღებისას, მათი საუკეთესო ინტერესები უმნიშვნელოვანესია. მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული ისინი არ არის გადამწყვეტი, მსგავს ინტერესებზე უნდა გამახვილდეს მნიშვნელოვანი ყურადღება.<sup>34</sup> ის, რომ კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ცხოვრების უფლება გარანტირებული არ არის, არ გამორიცხავს იმ ქვეყანაში ცხოვრების აკრძალვით, სადაც მისი ოჯახის ახალი წევრები ცხოვრობენ, პირის ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევას.<sup>35</sup> ამასთანავე, ოჯახური ცხოვრების უფლება შესაძლოა დაერღვეს არა მხოლოდ უცხოელს, არამედ მისი ოჯახის წევრებს.
  - ბავშვის ინტერესების დაცვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე დეპორტაციის საქმესთან მიმართებით იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ნუნეზი ნორვეგიის წინააღმდეგ.<sup>36</sup> აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ

<sup>33</sup> Jeunesse v. The Netherlands, დიდი პალატა, №12738/10, 03.10.2014; Liu v. Russia №42086/05, 6.12.2007; Nunez v. Norway, №55597/09, 28.06.2011.

<sup>34</sup> „Jeunesse v. The Netherlands“ (§109, 118), 03.10.2014.

<sup>35</sup> „Lupsa v. Romania“ (§25), 08.06.2006.

<sup>36</sup> Nunez v. Norway, № 55597/09, §176, 28.06.2011.

მშობლის დეპორტაცია გავლენას მოახდენდა ბავშვების საუკეთესო ინტერესებზე და შესაბამისად, დაირღვეოდა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

- მცირეწლოვან ბავშვებს კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება გააჩნიათ და ადრეული ასაკი ამ უფლებების რეალიზებისათვის კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს, მცირეწლოვანი ბავშვები დამოკიდებულნი არიან პასუხისმგებელ ორგანოებზე, რომლებმაც უნდა შეაფასონ და წარმოადგინონ მათი ინტერესები და უფლებები იმ გადაწყვეტილებებისა და ქმედებების დროს, რომლებიც ბავშვების კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას.<sup>37</sup>
- კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა უნდა გამართლდეს უკიდურესი სოციალური საჭიროებით და იყოს მისაღწევი მიზნის თანაზომიერი.<sup>38</sup>
- სახელმწიფოდან იმ პირის გაძევებამ, რომლის ოჯახის წევრები ამ სახელმწიფოში ცხოვრობენ, შესაძლოა შექმნას კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევის საფუძველი. უფლებაში ჩარევა დარღვევად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის ჩარევის გამართლებელი საფუძვლები: ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი და უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>39</sup> ამ კუთხით სახელმწიფოს ვალდებულებების მოცულობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გარკვეული სპეციფიკური გარემოებები, მათ შორის, ოჯახის კავშირის ხარისხი სახელმწიფოსთან, ოჯახური ცხოვრებისთვის ხელშეშლის ხარისხი, საიმიგრაციო კონტროლთან დაკავშირებული ფაქტორები, ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი საჯარო ინტერესი და სხვ.<sup>40</sup>
- ერთ-ერთ დავაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ ოჯახური ვითარების და თანამდევი მნიშვნელობის მქონე ფაქტორების სრულად და სიღრმისეულად შეუსწავლელობა, ეროვნული სასამართლოს მიერ გასაჩივრებული აქტის მხოლოდ ფორმალური განხილვით შემოფარგვლა – მიიჩნია ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევად.<sup>41</sup>
- ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ოჯახის არსებობის ფაქტი იმთავითვე არ გულისხმობს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების სავალდებულო გარანტირებას.<sup>42</sup> გადამწყვეტი საკითხია ის, თუ რამდენად იქნა დაცული სამართლიანი ბალანსი სხვადასხვა მოწინააღმდეგე ინტერესებს შორის, კერძოდ, ბავშვის, ორივე მშობლის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს

<sup>37</sup> „X v. Latvia“ (§39), 26.11.2013.

<sup>38</sup> „Boughanemi v. France“ (§41), 24.04.1996.

<sup>39</sup> „Liu v. Russia“ (§49, 50, 52), 06.12.2007. „Nunez v. Norway“ (§70), 28.06.2011.

<sup>40</sup> „Nunez v. Norway“ (§70), 28.06.2011. „Jeunesse v. The Netherlands“ (§107), 03.10.2014.

<sup>41</sup> „X v. Latvia“ (§70), 26.11.2013. „Lupsa v. Romania“ (§41), 08.06.2006.

<sup>42</sup> „Popov v France“ (§134), 19.01.2012.

შორის. სასამართლოს სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების ფარგლების, ოჯახში შექმნილი ვითარებისა და მთელი რიგი ფაქტორების ძირეული შესწავლა მოეთხოვება, რათა მისი დასაბუთება იყოს არაავტომატური, არასტერეოტიპული და საკმარისად დეტალური.<sup>43</sup>

- იმის გათვალისწინებით, რომ საიმიგრაციო საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოებს აქვს თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები, ასეთ საქმეებში მთავარი საკითხია ერთი მხრივ, მომჩინანისა და მისი ოჯახის პირად ინტერესს და მეორე მხრივ, არსებულ საჯარო ინტერესებს, მათ შორის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესს შორის ბალანსის დაცულობა.<sup>44</sup>
- ოჯახის ერთიანობის დაცვის საჭიროება იმთავითვე არ წარმოშობს სახელმწიფოს მიერ რომელიმე კონკრეტული სახის ბინადრობის მოწმობის გაცემის ვალდებულებას<sup>45</sup> და ბინადრობის ნებართვის ერთხელ გაცემა იმთავითვე არ გულისხმობს უცხოელის ყოველი შემდგომი მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულობას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ როდესაც სახელმწიფო უცხოელს ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას აძლევს, ამით სახელმწიფო უშვებს უცხოელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის, მის მიერ ურთიერთობების დამყარებისა და მათ შორის ოჯახის შექმნის შესაძლებლობას. აღნიშნული არ ავალდებულებს სახელმწიფოს მუდმივად აცხოვროს ასეთ ურთიერთობებში მყოფი უცხოელი თავის ტერიტორიაზე და მსგავს სიტუაციაში ადამიანებს ზოგადად, არ უნდა ჰქონდეთ ბინადრობის ნებართვის მიღების მოლოდინი, თუმცა სახელმწიფოს მიდგომა კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით უნდა დასაბუთდეს, ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს ინდივიდის და მთლიანი საზოგადოების დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიან ბალანსზე.<sup>46</sup>

<sup>43</sup>. „X v. Latvia“ (§95, 104, 107), 26.11.2013.

<sup>44</sup>. „Jeunesse v. The Netherlands“ (§121), 03.10.2014. „Boughanemi v France“ (§42), 24.04.1996.

<sup>45</sup>. „Liu v. Russia“ (§50), 06.12.2007.

<sup>46</sup>. „Jeunesse v. the Netherlands“ (§103, 106), 03.10.2014.

## აღმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება

ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება უპირობოდ არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევის გარეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს, შეამოწმოს/გააკონტროლოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით განხორციელება. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.<sup>47</sup> ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს, იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.<sup>48</sup> დისკრეციის ფარგლებში გამოცემული აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.<sup>49</sup> დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.<sup>50</sup>

<sup>47</sup> სუსგ №ბს-44(კ-23) 25.07.23.

<sup>48</sup> სუსგ №ბს-1241(კ-22) 15.06.23.

<sup>49</sup> სუსგ №ბს-1136(კ-20) 30.09.21.

<sup>50</sup> სუსგ №ბს-1248(კ-20) 30.09.21.

ამდენად, დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.<sup>51</sup> შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება პირის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას, ხელისუფლებისადმი მინიჭებული სამართლებრივი დისკრეცია შეუზღუდავი არ არის, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ადეკვატური და ქმედითი დაცვის საშუალებები დისკრეციის ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად.<sup>52</sup>

სასამართლო იცავს რა, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა. უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასებისას, გარკვეულწილად გაითვალისწინოს გიზანშეწონილობის, რაციონალობის ასპექტები.<sup>53</sup>

## სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციის შეფასება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის შეფასება ხდება სასამართლოს მიერ, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს მისი შინაგანი რწმენით, აღწერილი საფრთხის რეალიზების ალბათობის შეფასებით, დასკვნის დასაბუთებულობის, გონივრულობისა და სანდოობის შემოწმებით, აგრეთვე საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით. ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნები კმაყოფილდება, იმთავითვე არ გულისხმობს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ერთი

<sup>51</sup> სუსგ №ბს-747(კ-22) 10.01.23.

<sup>52</sup> სუსგ №ბს-67(კ-22) 05.10.23.

<sup>53</sup> სუსგ №ბს-1020(კ-23) 06.02.24.

და იგივე გადაწყვეტილების მიღებას, უინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებას სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, საფუძვლად უდევს მოსარჩელის შესახებ კონტრდაზვერვის დეპარტამენტში არსებული ინფორმაცია, რომელიც განსხვავდება თითოეულ კონკრეტულ საქმეზე, რადგან იცვლება ინფორმაციის სუბიექტი.

აღსანიშნავია, რომ კონტრდაზვერვის სახელმწიფო სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის ბუნების (სახელმწიფო საიდუმლოება) გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილი არ არის, გადაწყვეტილებაში ასახოს მისი შინაარსი. ზოგადად, ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას დაეყრდნოს და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში, კონკრეტულია და პირდაპირ მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისია პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების შედეველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას.<sup>54</sup> არსებითია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო, მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს.

ერთ-ერთ დავაზე,<sup>55</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაცია პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სათანადოდ ასაბუთებს, არ გამოირიცხება კერძო და საჯარო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების საჭიროება, თუმცა ასეთ დროს კერძო ინტერესი უკან იხევს, რადგან კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სათანადოდ დასაბუთებული დასკვნა ცხადს ხდის საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობას. პალატის განმარტებით, ის გარემოება, რომ ამ დრომდე მოსარჩელის მიერ სახელმწიფოსა თუ

<sup>54</sup> სუსგ №ბს-1248(ქ-20) 30.09.21; №ბს-267(ქ-24) 28.05.24.

<sup>55</sup> სუსგ №ბს-67(ქ-22) 05.10.23, ანალოგიური №ბს-782(ქ-23) 27.02.24.

საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული რაიმე ქმედების ჩადენა სათანადოდ არ დასტურდება, არ ასაბუთებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის უკანონობას, რადგან ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი გარემოებების ნორმატიული საფუძვლების გამოვლენა მიზნად ისახავს არა მხოლოდ რეპრესიულ, არამედ პრევენციულ რეაგირებასაც და მიმართულია არა იმდენად რეალიზებული, არამედ უმეტესად მომავალში მოსალოდნელი, რეალიზებადი საფრთხეების თავიდან აცილებისკენ.

სხვა დავაზე<sup>56</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემები და დასკვნები იმთავითვე გამორიცხავს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობის, აღწერილი საფრთხის რეალიზების საკმარისი ალბათობის, განვითარებული მსჯელობის გონივრულობისა და სარწმუნობის გამო. ამასთანავე, მაშინაც კი, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაცია პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სათანადოდ ასაბუთებს, არ გამოირიცხება კერძო და საჯარო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების საჭიროება, თუმცა ასეთ დროს კერძო ინტერესი უკან იხევს, რადგან კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სათანადოდ დასაბუთებული დასკვნა ცხადს ხდის საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობას. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელესთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია იმთავითვე არ ადასტურებდა ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი სათანადო საფუძვლების არსებობას.

### საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები

საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო ყველა დოკუმენტი უნდა იყოს წარდგენილი განცხადებასთან ერთად. სააგენტო უფლებამოსილია, აღმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, დამატებით მოითხოვოს იმ დოკუმენტების წარდგენა, რომლებიც ასაბუთებენ ამ წესით გათვალისწინებულ ცალკეულ ფაქტებსა და გარემოებებს (საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენისათვის). უცხოელს, ასევე, შეუძლია სააგენტოში საკითხის განხილვის პროცესში, თავისი ინიციატივით, წარადგინოს საკითხის განხილვისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტები. საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად ან მისი მოქმედების ვადის

<sup>56</sup> სუსგ №ბს-631(კ-21) 06.04.23.

გასაგრძელებლად, განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოსათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან 30 დღეს.

ერთ-ერთ დავაზე,<sup>57</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღების ვადების განმსაზღვრელი ჩარჩო გამომდინარეობს თავად უცხოელის საქართველოში ყოფნის სამართლებრივი საფუძვლის დროში შეზღუდული მოქმედების, ვადიანობის ხასიათიდან. პალატამ აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირი არ არის შეზღუდული, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნების პირობების დაკმაყოფილებისთანავე, მიმართოს სააგენტოს ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, თუმცა აღნიშნული ვადა არ შეიძლება იყოს უფრო გვიან, ვიდრე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ამოწურვის თარიღის დადგომამდე 40 კალენდარული დღე. აღნიშნული ვადის ათვლის წერტილი არის, არა გარკვეული მოქმედების, შემთხვევის დადგომა და მისი მომდევნო პერიოდი, არამედ უკვე არსებული მოვლენა, ფაქტი, დაინტერესებული პირისათვის უკვე ცნობილი თარიღი – მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის ამოწურვის მომენტი და შესაბამისად, ამ თარიღამდე 40 კალენდარული დღე. ეს 40-დღიანი პერიოდი მოიცავს სააგენტოს მიერ სრულყოფილი სახით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების პერიოდს. ამდენად, კანონმდებლობაში ამგვარი რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ ათვლის წერტილი, იმპერატივი არის – საქართველოში კანონიერად ყოფნის ამოწურვამდე 40 დღე, რა დრომდეც განმცხადებელს ნებისმიერ დროს აქვს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება.

სხვა დავაზე,<sup>58</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა, სააგენტოში წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველ ეტაპზე უნდა დადგინდეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნათა დაცულობა, როგორებიცაა: უფლებამოსილი პირის მიერ განცხადების წარდგენა, სააგენტოში განცხადების კანონით დადგენილი ფორმით შეტანა, ასევე, ბინადრობის ნებართვის კონკრეტული სახის გაცემისათვის საჭირო კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენა. უკეთუ აღნიშნული წინაპიროები სახეზეა და არ არსებობს ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ფორმალური საფუძვლები, განცხადება პირობითად გადადის მეორე ეტაპზე და მოწმდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების და

<sup>57</sup> სუსგ №ბს-704(კ-20) 12.04.23.

<sup>58</sup> სუსგ №ბს-920(კ-21) 22.06.23.

წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფის საკითხებს. პალატამ განმარტა, რომ უკეთუ სააგენტოში წარდგენილი განცხადება არ აქმაყოფილებდა ნორმატიულად დადგენილ ფორმალურ წინაპირობებს, აღნიშნული დამოუკიდებლად ქმნიდა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს (კანონის 18.1 მუხ. „ი“ ქვ.პ.) ისე, რომ შემოწმებას აღარ საჭიროებდა განცხადების შინაარსობრივი მხარე, კონკრეტულ პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობა, ბინადრობის ნებართვის გაცემის გავლენა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა თუ წესრიგის დაცვაზე.

### ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი

მნიშვნელოვანია, კანონის იმპერატიული მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის დასრულებამდე მინიმუმ, 40 დღით მიმართვის შესახებ, რა დრომდეც განმცხადებელს ნებისმიერ დროს აქვს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის, სპეციალური ბინადრობის ნებართვის, დროებითი ბინადრობის ნებართვისა და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის შემთხვევებზე. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>59</sup> შეფასების საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის, შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების, საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის ქონის დამადასტურებელი დოკუმენტისა და საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის საფუძვლით, განუხილველად დატოვების კანონიერება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობის ექსპლიციტური დათქმის შესაბამისად, ის გარემოება, რომ განცხადების შეტანის ვადის ბოლო დღე შაბათი იყო, არ შეიძლება გახდეს მოსარჩელის სასარგებლოდ ვადის

<sup>59</sup> სუსგ №ბს-704(კ-20) 12.04.23.

ცვლილების საფუძველი, ვინაიდან კანონმდებლობით განსაზღვრულ იმპერატიულ მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის დასრულებამდე მინიმუმ, 40 დღით ადრე მიმართვა წარმოადგენს, ხოლო მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული ორგანისათვის მიმართვისათვის განსაზღვრული ვადის დარღვევა უკვე ქმნიდა მისი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს.

მეორე საქმეზე,<sup>60</sup> სადაცო საკითხს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების კანონიერება. პალატამ განმარტა, რომ უცხოელი ვალდებულია, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, სააგენტოს მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე. ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით წარდგენილი განცხადება განიხილება ორ სტადიად, კერძოდ, განცხადების დასაშვებობისა და შემდეგ საფუძვლიანობის შემოწმების გზით. დასაშვებობის სტადიაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეამოწმოს ორი კრიტერიუმი: განცხადების წარდგენის ვადის დაცულობა და განცხადების წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა (წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა). მოსარჩელის ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით წარდგენილ განაცხადს, სისპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დაუდგინდა ხარვეზი, რომლითაც მას დაევალა სააგენტოსთვის მიმართვის დღისათვის საქართველოში კანონიერად ყოფნის 40-დღიანი ვადის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ირანის ისლამური რესპუბლიკიდან ნასამართლობის შესახებ ცნობის წარდგენა. პალატამ განმარტა, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, თუკი უცხოელი იძებნება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის ან მსჯავრდებულია შესაბამისი განცხადების წარდგენამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩადენილი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის (თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის) ან მის მიმართ აღმრულია სისხლის სამართლის საქმე – სისხლის სამართლის საქმისწარმოების დასრულებამდე<sup>61</sup> და შესაბამისად, მითითებული ნასამართლობის შესახებ ცნობა წარმოადგენს განცხადების განხილვისათვის არსებითად საჭირო დოკუმენტს. საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ დაინტერესებულ პირს სააგენტოსთვის კანონით დადგენილ

<sup>60</sup> სუსგ №ბს-1038(ქ-22) 13.11.23.

<sup>61</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

ვადაში არ წარუდგენია სააგენტოს მიერ მოთხოვნილი, ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო დოკუმენტები, რის გამოც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სზაკ-ის 83-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უფლებამოსილი იყო, საქმეზე დადგენილი გარემოებების, განცხადების განუხილველად დატოვების საფუძვლების კუმულაციურად შეფასების შედეგად, მიეღო გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

### საქართველოში ბინადრობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ: ა) არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ; ბ) აღარ არსებობს ის საფუძველი, რომლის გამოც მან მოიპოვა საქართველოში ყოფნის ნებართვა; გ) იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს; დ) მას ჩადენილი აქვს დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ; ე) იგი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის იძებნება ან მსჯავრდებულია შესაბამისი განცხადების წარდგენამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის (თუ ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის) ან მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს – სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე; ვ) იგი დაავადებულია ისეთი ინფექციური ან სხვა დაავადებით, რომლის ხასიათმა, სიმძიმემ და ხანგრძლივობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს მოსახლეობას. ამგვარ დაავადებათა ჩამონათვალს ადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ზ) მან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტები წარადგინა; თ) მან შესაბამის განცხადებაში არასწორი მონაცემი

მიუთითა ან დამალა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად; ი) არ არის დაცული შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის ამ კანონის მე-15 მუხლით დადგენილი მოთხოვნები; კ) უფლებამოსილმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება მისი საქართველოდან გაძევების შესახებ.

ამ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც აღბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე; ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან)<sup>62</sup>.

კანონში გაწერილი ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები ამომწურავია, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ ნორმით მითითებული საფუძველი შეიძლება გახდეს უარის თქმის წინაპირობა, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფის მიზანს. ამავდროულად, კანონმდებელი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, ნორმაში მითითებული საფუძვლის მიუხედავად, გასცეს ბინადრობის ნებართვა, რაც კანონმდებლის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების დაშვებაზე მიუთითებს.

<sup>62</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი.

უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით დავაზე,<sup>63</sup> საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონში დეტალურად და ამომწურავად არის გაწერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ და თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. ამასთან, ამავე კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში. პალატამ განმარტა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც აღმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, თავისივე ინიციატივით გადაამოწმოს მის მიერ მიღებული აღმჭურველ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი, მისი კანონიერ

<sup>63</sup> სუსგ №პს-277(პ-24) 28.05.24.

ძალაში შესვლის შემდგომ, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ხოლო ასეთი გარემოების გამოვლენა, მათ შორის, უცხოელის მიერ იმგვარი საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იწვევს საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტას. წინამდებარე შემთხვევაში, მუდმივი ცხოვრების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი. საკასაციო პალატამ გაეცნო რა, კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს, მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება მართებულია.

სხვა საქმეზე,<sup>64</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნა. პალატამ განმარტა, რომ კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ წარმოშობდა ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ვალდებულებას, სააგენტოში წარდგენილი განცხადების ფორმალური გამართულობის, ბინადრობის კონკრეტული სახის გაცემისთვის ნორმატულად დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუმცა სათანადოდ უნდა იკვეთებოდეს უარის თქმის საფუძველი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია სადაც აქტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ

<sup>64</sup> სუსგ №ბს-267(პ-24) 28.05.24.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომეტებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში სააგენტო მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

## უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძველი

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას.<sup>65</sup>

ამასთან, საქართველოში ბინადრობის ნებართვა ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისას. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, თუ მისთვის ცნობილი გახდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შესახებ. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ორგანოები და იურიდიული და/ან ფიზიკური პირები ვალდებული არიან, სააგენტოს აცნობონ უცხოელისთვის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების შესახებ. უცხოელისთვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის ვადის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ელექტრონული ან წერილობითი ფორმით.

უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს:

- თუ მან საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან საქართველოს ვიზის მისაღებად ყალბი ან იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტები წარადგინა;
- თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას;
- თუ მან საქართველოში ყოფნის ვადის გასვლამდე შეწყვიტა ან დაასრულა სწავლა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო

<sup>65</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

დაწესებულებაში, თუკი საქართველოში ბინადრობის ნებართვა ამ საფუძველზე ჰქონდა მიღებული;

- თუ მან შეწყვიტა ის საქმიანობა ან ურთიერთობა, რომლის საფუძველზედაც მიღებული ჰქონდა საქართველოში ბინადრობის ნებართვა;
- თუ აღარ არსებობს ან არ შესრულდა ის მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა საქართველოს ვიზა;
- თუ იგი აღარ არის საქართველოს მოქალაქის მეურვე ან მზრუნველი ან აღარ იმყოფება საქართველოს მოქალაქის მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ, თუკი საქართველოში ბინადრობის ნებართვა ამ საფუძველზე ჰქონდა მიღებული;
- თუ საქართველოში ბინადრობის ნებართვის მისაღებად იგი ფიქციურად დაქორწინდა;
- თუ იგი გააძევეს საქართველოდან;
- თუ მან შესაბამის განცხადებაში არასწორი მონაცემი მიუთითა ან დამალა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად;
- მოქალაქეობრივი კუთვნილების ცვლილების შემთხვევაში, თუ მას საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა ბინადრობის ნებართვის მიღების გარეშე ჰქონდა აღებული;
- თუ მან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 6 თვის ვადაში არ მიმართა სააგენტოს ბინადრობის მოწმობის ასაღებად;
- თუ მან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა.

უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დავაზე,<sup>66</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამასთან, საქართველოში ბინადრობის ნებართვა ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისას, ხოლო სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, თუ მისთვის ცნობილი გახდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული

<sup>66</sup> სუსგ №ბს-904(2\_22) 30.11.22.

საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შესახებ. პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული კანონის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფაა, რის გამოც საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, შეაპიროსპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიღოს გადაწყვეტილება. სადაცო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის შესაძლო ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისას და მოსარჩელისათვის მინიჭებული ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის შეწყვეტის შესახებ დასკვნის გაკეთებისას, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო დაეყრდნო სწორედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ შესაბამის ინფორმაციას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მოამზადა დასკვნა, რომელსაც საფუძვლად დადო გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები. საკასაციო პალატამ, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, მიიჩნია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება, მოსარჩელისათვის მუდმივი საინვესტიციო ნებართვის მინიჭების შესახებ გამოცემული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა

სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დაცვით.

ერაყის რესპუბლიკის მოქალაქის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის კანონიერებასთან დაკავშირებულ საქმეზე,<sup>67</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მსჯელობის საგანი იყო – მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადება წარმოადგენდა, თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული ქმედება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება. პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადაც აქტი და საპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, სრულად ვერ აქარწყლებდა და პასუხობდა კასატორის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, მისი ოჯახის ერთიანობის და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საკასაციო საჩივარს დაერთო დამატებითი მტკიცებულებები: შეიღების დაბადების მოწმობები, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელეს და მის მეუღლეს, ქორწინების შემდგომ შეეძინათ ორი შვილი. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის ძალადაკარგულად ცნობის კანონიერების შესახებ, რომ მხედველობაში არ მიუღია და საერთოდ არ უმსჯელია მოსარჩელის არასრულწლოვან შვილებზე, რომლებიც დაბადებულნი არიან საქართველოში და რომელთა დედაც საქართველოს მოქალაქეა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს ერთომანეთთან არ შეუპირისპირებია ერთი მხრივ, მოსარჩელის ოჯახურის ცხოვრების პატივისცემის უფლება და მისი არასრულწლოვანი შვილების საუკეთესო ინტერესები და მეორე მხრივ, სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნებისათვის მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაუქმების აუცილებლობა.

## ბინადრობის ნებართვის სახეები

<sup>67</sup> სუსგ №474(კ-20) 03.11.22.

ბინადრობის ნებართვა შესაძლოა იყოს დროებითი ან მუდმივი ცხოვრების უფლებით. საფუძვლის მიხედვით, დროებითი ცხოვრების უფლებით გაიცემა შემდეგი ტიპის ნებართვები: შრომითი ბინადრობის ნებართვა, სასწავლო ბინადრობის ნებართვა, ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით, საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა, მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, დროებითი ბინადრობის ნებართვა, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, სპეციალური ბინადრობის ნებართვა.

საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლებით გაიცემა შემდეგი სახის ბინადრობის ნებართვები: მუდმივი ცხოვრების ნებართვა, უვადო ბინადრობის ნებართვა.

შრომითი, სასწავლო ბინადრობის ნებართვები, ასევე ოჯახის გაერთიანების მიზნი და სპეციალური ბინადრობის ნებართვები პირველად გაიცემა 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა პირველად გაიცემა და გრძელდება 6 წლის ვადით. მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა პირველად გაიცემა 3 წლის ვადით, რომლის გაგრძელება შესაძლებელია იმავე ვადითა და იმავე პირობით, შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

ამასთან, შრომითი ბინადრობის ნებართვა, სასწავლო ბინადრობის ნებართვა, ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით, მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა და სპეციალური ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელის საქართველოში სავარაუდო ყოფნის ვადით, მაგრამ არა უმეტეს, 12 წლისა.<sup>68</sup> შესაბამისად, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ უცხოელს, საქართველოში დარჩენის სურვილის შემთხვევაში, მოუწევს ახალი დროებითი ბინადრობის ნებართვის ან მუდმივი ცხოვრების ნებართვის აღება.

## შრომითი ბინადრობის ნებართვა

**შრომითი ბინადრობის ნებართვა** – გაიცემა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რეგისტრირებულ შრომით იმიგრანტზე<sup>69</sup> ან საქართველოს

<sup>68</sup> „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>69</sup> შრომითი იმიგრანტი – საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელი, რომელიც საქართველოში შემოდის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომთი

კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ უცხოელზე. შრომით იმიგრანტმა ან საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ უცხოელმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოში უნდა წარადგინოს საქართველოში შრომითი ან სამეწარმეო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ცნობა ყოველთვიური შრომის ანაზღაურების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პირის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი არ უნდა იყოს საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები, ხოლო დამსაქმებელი საწარმოს წლიური ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების წლიური ბრუნვა არანაკლებ 35000 ლარის ოდენობით.

შრომითი ბინადრობის ნებართვის მიღების მიზნით, უცხოელმა განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (იუსტიციის სახლი).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რეგისტრირებულმა შრომითმა იმიგრანტმა ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელმა უცხოელმა შრომითი ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად სააგენტოში უნდა წარადგინოს:

- ა) დადგენილი ფორმის განცხადება, სადაც სხვა მონაცემებთან ერთად უნდა მიეთითოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში შრომითი იმიგრანტის რეგისტრაციისას მინიჭებული უნიკალური კოდი;
- ბ) უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი;
- გ) საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომითი ხელშეკრულება ან სამუშაოზე მიღების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი);
- ე) ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები. თუ

საქმიანობის განხორციელების მაზნით („შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი); შესაბამისად, შრომით იმიგრანტად ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მხოლოდ ის უცხოელი, რომელსაც არ აქვს მუდმივი ბინადრობის ნებართვა და ამასთან, ადგილობრივ დამსაქმებელთან გაფორმებული აქვს შრომის ხელშეკრულება.

ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებით ვერ დასტურდება უცხოელის ლეგალური შემოსავალი, შემოსავლად ასევე შეიძლება, ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე რიცხული თანხა (მათ შორის, ბანკის მიერ გაცემული ცნობა), რომლის ოდენობაც, შრომითი ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ყოველთვიურად არ უნდა იყოს საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები; ვ) სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მისი დამსაქმებელი საწარმოს/დაფუძნებული საწარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50 000 ლარზე ნაკლები არ არის, ხოლო საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში, წლიური ბრუნვა არის არანაკლებ, 35 000 ლარისა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე; გ) ცნობა უცხოელის დამსაქმებელ საწარმოში/დაფუძნებულ საწარმოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ უცხოელთა რაოდენობის შესახებ; თ) ფერადი ფოტოსურათი, ზომით  $\frac{3}{4}$ , ელექტრონული ფორმით; ი) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

შრომითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა არაუმეტეს, 6 წლის ვადით.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>70</sup> მთავარ სადაც საკითხს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, ერთმანეთს შეუპირისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიღლოს გადაწყვეტილება ბინადრობის ნებართვის გაცემის თუ ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“

<sup>70</sup> სუსგ №პს-207(პ-20), 07.10.20.

საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით.

სხვა დავაზე,<sup>71</sup> საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, სისპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. პალატამ ასევე, აღნიშნა, რომ ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერებასთან დაკავშირებით დავაზე,<sup>72</sup> სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო სააგენტოს მიღებული გადაწყვეტილება ემყარებოდა თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებდა მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროებას.

საკასაციო პალატამ მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, დაადასტურა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილში (დასკვნაში) მოტანილი ფაქტების არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება, ამასთან, ადგილი არ ჰქონდა შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით.

<sup>71</sup> სუსგ №ბს-815(კ-19), 16.04.20.

<sup>72</sup> სუსგ №ბს-1219(კ-22), 30.05.23.

მოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იზღუდება მოსარჩელის შრომითი უფლება, ვინაიდან იგი ვალდებული იქნება გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე, დატოვოს საქართველო. თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში. სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ უცხოელთა ქვეყანაში შესვლისა და იქ დარჩენის ხანგრძლივობის რეგულირება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდთა უფლებებში ჩარევა იყოს აუცილებელი და მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით. ამასთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადაწყვიტოს და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამორიცხოს. ამასთან, კონვენციის ხელშემქვრელ სახელმწიფოს აქვს თავისუფლება, აკონტროლოს მის ტერიტორიაზე უცხოელის შემოსვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები.

სხვა საქმეზე,<sup>73</sup> პალატამ აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემები და დასკვნები იმთავითვე გამორიცხავს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობის, აღწერილი საფრთხის რეალიზების საკმარისი აღბათობის, განვითარებული მსჯელობის გონივრულობისა და სარწმუნობის გამო. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელესთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია აღბათობის საკმარისი ხარისხით აღსატურებდა შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებული სათანადო საფუძვლების არსებობას.

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დავაზე,<sup>74</sup> მთავარ სადაცო საკითხს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის გათვალისწინებით, საკასაციო

<sup>73</sup> სუსგ №ბს- №გს-782(კ-23), 27.02.2024.

<sup>74</sup> სუსგ №ბს-1274(კ-23), 06.06.24.

პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოში წარდგენილი საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატორულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოსარჩელე საფრთხეს უქმნიდა საქართველოს უსაფრთხოებას. შესაბამისად, ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებშიც, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს შეეძლო გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია საქართველოში და აკმაყოფილებს „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით განსაზღვრული შრომითი ბინადრობის მიღებისთვის საჭირო პირობებსა და მოთხოვნებს.

## სასწავლო ბინადრობის ნებართვა

სასწავლო ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილების მე-6 მუხლი ადგენს სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. ამ მუხლის თანახმად, სასწავლო ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად, უცხოელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს: ა) დადგენილი ფორმის განცხადება; ბ) უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი; გ) საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; დ) საქართველოში ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა უცხოელის სწავლის თაობაზე (სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობის მითითებით); ე) უცხოელის და/ან საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე მისი ნათესავის საქართველოში ლეგალური შემოსავლისა და აღნიშნულ პირთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი. შემოსავლად, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე რიცხული თანხა, რომლის ოდენობაც სასწავლო ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ყოველთვიურად არ უნდა იყოს საქართველოში განსაზღვრულ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორჯერად ოდენობაზე ნაკლები; ვ) ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4, ელექტრონული ფორმით; ზ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეზე<sup>75</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ვალდებულია, ჩაატაროს ადმინისტრაციულ წარმოება და მხედველობაში მიიღოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან გამოთხოვილი ინფორმაცია, უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოში უცხოელი პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დაცვით.

სხვა საქმეზე<sup>76</sup> საკასაციო პალატამ დაადასტურა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. პალატამ მიიჩნია, რომ სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით. მართალია, მოცემულ შემთხვევაში იზღუდება მოსარჩელის განათლების უფლება, რადგან იგი ვალდებული იყო გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე, დატოვოს საქართველო თუმცა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა შეცდომას

<sup>75</sup> სუსგ №ბს-44(პ-23), 25.07.2023.

<sup>76</sup> სუსგ №ბს-911(პ-22), 27.12.22.

სააგენტოსთვის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში  
კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით.

სასწავლო ბინადრობის ნებართვის კანონიერებასთან დაკავშირებულ საქმეზე<sup>77</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა უნდა ეფუძნებოდეს სათანადო გარემოებებს, კერძო და საჯარო ინტერესების სათანადო ურთიერთშედარების შედეგად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ მიწოდებულ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია არ ქმნიდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს და საჭირო იყო მისი დამატებითი კვლევა და სხვა გარემოებებთან ერთობლივი ანალიზი. კერძოდ, გასათვალისწინებელია მოსარჩელის სწავლის ფაქტი და ის გარემოება, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ერთხელ უკვე ფლობდა საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვას 2017 წლის 11 დეკემბრიდან 2018 წლის 11 დეკემბრამდე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ამჟამად მოსარჩელის სწავლის ფაქტი, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, უნდა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

### საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელსაც შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად უცხოელმა, რომელსაც შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, სააგენტოში უნდა წარადგინოს: ა) დადგენილი ფორმის განცხადება; ბ) უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი; გ) საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; დ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ე) ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4, ელექტრონული ფორმით; ვ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

<sup>77</sup> სუსგ №ბს-470(კ-21), 14.04.22.

უცხოელს, რომელსაც შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა და არ დაუტოვებია საქართველოს ტერიტორია, საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად არ მოეთხოვება საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარდგენა.

საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერებასთან დაკავშირებულ დავაზე<sup>78</sup> საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საიდუმლო მასალის გათვალისწინებით, დგინდება სახელმწიფო უშიშროებისათვის უპიტესობის მინიჭების აუცილებლობა მოსარჩელის ინდივიდუალურ უფლებასთან მიმართებაში.

მეორე საქმეზე,<sup>79</sup> სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, ემყარებოდა თუ არა მიღებული გადაწყვეტილება ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებდა მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროებას. პალატამ განმარტა: იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად არ დგინდება მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროება, ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული გაითვალისწინოს ბინადრობის მაძიებელი პირის კონკრეტული მახასიათებლები.

ამასთან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საფუძვლიან, ერთმნიშვნელოვან ვარაუდს, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას ბინადრობის ნებართვაზე. პალატამ აღნიშნა, რომ მხოლოდ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილზე მითითება არ ქმნიდა სადაც აქტის საკმარის დასაბუთებას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადაც გადაწყვეტილება არ ემყარებოდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, ამდენად, დასტურდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ განახორციელა მისთვის სზაკ-ის 53-ე და 96-ე მუხლებით დაკისრებული ვალდებულება, სადაც გადაწყვეტილება გამოიცა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების და საქმის მასალების გამოკვლევისა და სათანადო შეფასების გარეშე, შედეგად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>80</sup> მოსარჩელეს ტოფიკ მამედოვს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა

<sup>78</sup> სუსგ №ბს-726(კ-23), 05.10.23.

<sup>79</sup> სუსგ №ბს-1110(კ-21), 15.02.22.

<sup>80</sup> სუსგ №ბს-27(კ-24), 10.04.24.

საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის გაცემა. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია აღბათობის საკმარისი ხარისხით ადასტურებდა ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი სათანადო საფუძვლების არსებობას, რის გამოც სის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქმეზე გამოთხოვილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მისი შინაარსი მხარეებს გააცნოს და სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახოს. საკასაციო პალატამ ასევე, აღნიშნა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები ქმნიდა მოსარჩელის მიერ საქართველოს უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლიან ვარაუდს, ადასტურებდა სადაც სის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადაც გადაწყვეტილების კანონიერებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფო სარგებლობს ფართო დისკრეციით. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით.

## საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა

საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა – გაიცემა უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე, რომელმაც „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში განახორციელა არანაკლებ, 300 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში ოდენობის ინვესტიცია ან აქვს საქართველოს ტერიტორიაზე საკუთრების უფლება 300 000 აშშ

დოლარის ღირებულების უძრავ ნივთზე, გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა. უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს სსიპ აკრედიტაციის ცენტრის სერტიფიცირებული შემფასებელი. ამ მიზნებისათვის ოჯახის წევრებად ითვლებათ: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და უცხოელის სრულ კმაყოფაზე მყოფი მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი, აგრეთვე უცხოელის სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ არის ცნობილი.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>81</sup> სამართალწარმოება ემსახურებოდა იმის გამორკვევას, ირანის მოქალაქისთვის საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიება. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, სააგენტომ სათანადოდ გამოიკვლია თუ არა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო შემთხვევაში, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატორულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოსარჩევე საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს უსაფრთხოებას, მით უფრო, რომ მოსარჩევეზე სადავო გადაწყვეტილების მიღებამდე გაცემული იყო შრომითი ბინადრობის ნებართვა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული, დაეყრდნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების მაღალი რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისია პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, არ

<sup>81</sup> სუსგ №ბს-1136(კ-20), 30.09.21.

ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისათვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას. მიღვომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნია, რომ მხოლოდ აღნიშნული ინფორმაცია არ იყო საკმარისი მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისთვის და იგი მოითხოვდა მოსარჩელის მიერ განხორციელებული ინვესტიციების, წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის, რეკომენდაციებისა და სხვა მტკიცებულებების მხედველობაში მიღებას, მათ ერთობლივ ანალიზს და მხოლოდ ამის შედეგად, მოსარჩელისთვის საინვესტიციო ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას.

მეორე საქმეზე,<sup>82</sup> სამართალწარმოება ასევე, ემსახურებოდა იმის გამორკვევას, მოსარჩელისთვის საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება, რამეთუ მოსარჩელის მეუღლეზე – მუდმივი ცხოვრების უფლებით საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის ფაქტი იმთავითვე არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელეზე საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემის ვალდებულებას, რამდენადაც სისიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქმნიდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს.

ერაყის რესპუბლიკის მოქალაქის მიმართ საქართველოში საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით დავაზე,<sup>83</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვა

<sup>82</sup> სუსგ №ბს-81(ქ-22), 24.11.22.

<sup>83</sup> სუსგ №ბს-9 04(2\_022), 30.11.22.

ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისას. ამასთან, სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, თუ მისთვის ცნობილი გახდება კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, შეაპირისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დაცვით.<sup>84</sup>

## დროებითი ბინადრობის ნებართვა

დროებითი ბინადრობის ნებართვა – გაიცემა იმ უცხოელზე, რომელიც „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არის მსხვერპლი და რომლის დაცვის უზრუნველსაყოფად გამოცემულია შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი ან/და რომლის მიმართ განხორციელებული ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებები ან/და რომელიც სარგებლობს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ან კრიზისული ცენტრის მომსახურებებით.

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე,<sup>85</sup> განმარტა, რომ კანონმდებელი დროებითი ბინადრობის ნებართვაში გულისხმობს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15

<sup>84</sup> „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი ადგენს უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

<sup>85</sup> სუსგ №ბს-1241(ქ-22), 15.06.23.

მუხლით გათვალისწინებულ დროებით ბინადრობის ნებართვას, როგორც ბინადრობის ერთ-ერთ სახეს და არა ზოგადად, კონკრეტული ვადით (დროებით) გაცემულ ყველა სახის ბინადრობის ნებართვას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, 40-დღიანი ვადის დაცვას საგამონაკლისო წესით არ ვრცელდებოდა მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლსა ან დაზარალებულ პირზე, სპეციალური ბინადრობის ნებართვის მაძიებელთა შემთხვევაში. 2015 წლის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგადაც კანონის მე-15 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი თანახმად, ახალი ბინადრობის ნებართვის სახედ გათვალისწინებული იქნა დროებითი ბინადრობის ნებართვა, რის გამოც ზემოაღნიშნული დადგენილებაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, წესის მე-3 მუხლის მე-4 ქვეპუნქტში 40-დღიანი ვადის დაცვის ვალდებულება არ იქნა გათვალისწინებული ასევე, დროებითი ბინადრობის ნებართვის მაძიებელ პირზე.

მეორე საქმეზე,<sup>86</sup> საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელს აქვს დახმარების, პენსიისა და სხვაგვარი სოციალური უზრუნველყოფის ისეთივე უფლება, როგორიც საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში დროებით მყოფი უცხოელის სოციალური უზრუნველყოფის საკითხი კი, წყდება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

სხვა საქმეზე,<sup>87</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტით (გარდა პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დროებითი ბინადრობის ნებართვების მოქმედების ვადა, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს, 12 წლამდე, უცხოელის საქართველოში სავარაუდო ყოფნის ვადით, იმავე პირობებით, რომლებითაც გაიცა ის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადის გაგრძელებაც მოითხოვა უცხოელმა.

## მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა

<sup>86</sup> სუსგ №პს-1507(პ-22) 06.07.23

<sup>87</sup> სუსგ №პს-1073(პ-23) 01.02.24.

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა – გაიცემა უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე თუ უცხოელი საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფლობს საკუთრებას უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

ამ ტიპის ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს განმცხადებლის ოჯახის წევრებზე.

უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება უნდა განსაზღვროს აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებულმა შემფასებელმა.

წარსადგენი დოკუმენტები, დოკუმენტების ძირითადი ჩამონათვალის გარდა: საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებაზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო მიწისა) საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარს ეკვივალენტს ლარში; ნივთის საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი (შეფასებას ახორციელებს აკრედიტებული შემფასებელი);

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>88</sup> სადაც საკითხს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მხოლოდ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილზე მითითება არ ქმნიდა სადაც აქტის საკმარის დასაბუთებას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადაც გადაწყვეტილება არ ემყარებოდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. ამდენად, დასტურდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ განახორციელა სზაკ-ის 53-ე და 96-ე მუხლებით დაკისრებული ვალდებულება – სადაც გადაწყვეტილება გამოიცა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების და საქმის მასალების გამოკვლევისა და სათანადო შეფასების გარეშე. შედეგად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადაც აქტის ბათილად ცნობისა და მოსარჩელის მიმართ საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობას წარმოადგენდა.

<sup>88</sup> სუსგნებს-1202(პ-23), 20.03.24.

მეორე საქმეზე,<sup>89</sup> სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სადაცო არ გამხდარა მოსარჩელის საკუთრებაში კონკრეტული ღირებულების უძრავი ქონების აღრიცხვის ფაქტი, თუმცა მის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემა არ მოხდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის საფუძვლით. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ წარმოშობს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ვალდებულებას, სააგენტოში წარდგენილი განცხადების ფორმალური გამართულობის, ბინადრობის კონკრეტული სახის გაცემისთვის ნორმატიულად დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუმცა, სათანადოდ უნდა იკვეთებოდეს უარის თქმის საფუძველი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია სადაცო აქტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომეტებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააგენტო მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ ალბათობის შესაბამისი ხარისხით დგინდება ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების არსებობა, რაც თავის მხრივ, სადაცო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგის მართებულობას ადასტურებს.

სხვა საქმეზე,<sup>90</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა მათ შორის, საქართველოში მდებარე უძრავ ქონებაზე უცხოელის საკუთრების უფლების ქონის შემთხვევაში, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას, აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს. ამ მიმართულებით სახელმწიფოს შეფასების ფართო ფარგლები აქვს, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საკითხი უკავშირდება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ წარსულში უცხოელის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემა იმთავითვე არ გულისხმობს უცხოელის ყოველი შემდგომი მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულობას. როდესაც სახელმწიფო უცხოელს ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას აძლევს, ამით სახელმწიფო უშვებს უცხოელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის, მის მიერ ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ

<sup>89</sup> სუსგ №ბს-67(კ-22), 05.10.23.

<sup>90</sup> სუსგ №ბს-920(კ-21), 22.06.23.

გულისხმობს სააგენტოს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს მისი განცხადება ყოველი შემდგომი მოთხოვნისას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ უარი არ იყოს თვითნებური და ეფუძნებოდეს შესაბამის დასაბუთებას.

სხვა საქმეზე,<sup>91</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება, განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა როგორია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს, რომ სადაცო ღონისძიება ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია.

### სპეციალური ბინადრობის ნებართვა

სპეციალური ბინადრობის ნებართვა – გაიცემა უცხოელზე, რომლის შესახებაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი ან დაზარალებული „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უცხოელზე, რომელზედაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე წერილობით ინიციატივას წარადგენს საქართველოს მთავრობის წევრი, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქეზე.

სპეციალური ბინადრობის ნებართვა გაიცემა (ამ ნებართვის მოქმედების ვადა გრძელდება) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე.

სპეციალური ბინადრობის გაცემასთან დაკავშირებით ერთ-ერთ დავაზე,<sup>92</sup> მოსარჩევე ფერიდნელი ქართველია, დაიბადა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში და მისი განმარტებით, წლების მანძილზე ვერ ახერხებდა საქართველოში ჩამოსვლას, თუმცა უცხოეთში ცხოვრების პერიოდში არაერთხელ შესთავაზეს

<sup>91</sup> სუსგ №ბს-647(კ-22), 12.01.23.

<sup>92</sup> სუსგ №ბს-513(კ-21), 25.22.21.

სამშობლოში დაბრუნება და პროფესიით მუშაობა. 2018 წლის 19 თებერვალს, მას მიენიჭა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსი, რომელიც ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, მას მიეცა საქართველოში სპეციალური ბინადრობის ნებართვა 2019 წლის 18 ოქტომბრამდე. 2019 წლის 24 სექტემბერს, მან განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საქართველოში სპეციალური ბინადრობის ნებართვის გაცემა მოითხოვა, რაზეც მიიღო უარი. საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იგი რამდენიმე წელია საქართველოში ცხოვრობს მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილებთან ერთად, კარგად ფლობს ქართულ ენას, არის დასაქმებული, არასოდეს ყოფილა ნასამართლევი და არც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული გამომიქიდის დაწყების შესახებ არსებობს რაიმე სახის მტკიცებულება. საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, იკვეთებოდა მოსარჩელისათვის სპეციალური ბინადრობის ნებართვის გაცემის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

მეორე საქმეზე,<sup>93</sup> დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა სპეციალური ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოლგენილი საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად არ დგინდება მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროება, ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული გაითვალისწინოს ბინადრობის მაძიებელი პირის კონკრეტული მახასიათებლები. პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილზე მითითება არ ქმნიდა სადავო აქტის საქმარის დასაბუთებას, რადგან სადავო გადაწყვეტილება არ ემყარებოდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტური გამოკვლევას, რის გამოც მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

## საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა

საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა – გაიცემა უცხოელზე, რომელსაც შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

<sup>93</sup> სუსგ №გს-305(პ-24), 24.06.24.

ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაცემა უცხოელზე, რომელსაც შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

ვინაიდან ბინადრობის ნებართვის გაცემით უცხოელი მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობას, ხოლო სახელმწიფო კისრულობს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დეტალურად და ამომწურავად არის გაწერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მათ შორის, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ („ა“ ქვეპუნქტი) და თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს („გ“ ქვეპუნქტი).

საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ერთ-ერთ დავაზე,<sup>94</sup> მთავარ სადაცო საკითხს წარმოადგენდა აღმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩევისთვის საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით. საქართველოს პრეზიდენტის 2022 წლის 1 თებერვლის №46 ბრძანებულების საფუძველზე, მოსარჩევეს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა.

საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სისიპ

<sup>94</sup> სუსვ №ბს-726(კ-23), 05.10.23.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, ამასთან, საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია შესაბამება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საიდუმლო მასალის გათაღისწინებით, დგინდება სახელმწიფო უშიშროებისათვის უპიტესობის მინიჭების აუცილებლობა მოსარჩელის ინდივიდუალურ უფლებასთან მიმართებაში.

მეორე საქმეზე,<sup>95</sup> სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო მიღებული გადაწყვეტილება, ემყარებოდა თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებდა მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროებას. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად არ დგინდება მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროება, ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული გაითვალისწინოს ბინადრობის მაძიებელი პირის კონკრეტული მახასიათებლები.

ადმინისტრაციულმა ორგანომ მიზანშეწონილად მიიჩნია მოსარჩელის შვილის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება, აღდგენის წესით. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ მოსარჩელე აკმაყოფილებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.<sup>96</sup>

პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საფუძვლიან, ერთმნიშვნელოვან ვარაუდს, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას ბინადრობის ნებართვაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადაც აქტის ბათილად ცნობისა და მოსარჩელის მიმართ საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობას წარმოადგენდა.

<sup>95</sup> სუსგ №ბს-1110(კ-21), 15.02.22.

<sup>96</sup> საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე.

საქართველოში საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ სხვა საქმეზე<sup>97</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უცხოელისათვის საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი უფლებამოსილია, საქართველოს ყოფილი მოქალაქის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, პალატამ მიიჩნია, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი მოსარჩელეს ეთქვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, მას მიენიჭა მხარის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით უპირატესი ინტერესი. პალატამ მიიჩნია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები ქმნიდა მოსარჩელის მიერ საქართველოს უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლიან ვარაუდს, ადასტურებდა სადაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადაც გადაწყვეტილების კანონიერებას. მნიშვნელოვანია, რომ სადაც აქტი ეყრდნობოდა გასაიდუმლოებულ ინფორმაციას, რაც შეუძლებელს ხდიდა აქტის დასაბუთებაში კონკრეტული ინფორმაციის მითითების შესაძლებლობას. პალატამ აღნიშნა, რომ საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაქტობრივად სადაც აქტის დასაბუთება მოიაზრებს გამოთხოვილ საიდუმლო დოკუმენტაციაში არსებულ გარემოებებსა და მოტივაციას. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ალბათობის საკმარისი ხარისხით ადასტურებდა ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი სათანადო საფუძვლების არსებობას.

## ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით

<sup>97</sup> სუსგ №ბს-27(პ-24), 10.04.24.

ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით, გაიცემა ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ოჯახის წევრებზე.

ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მოსაპოვებლად უცხოელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს: а) დადგენილი ფორმის განცხადება;

ბ) უცხოელის სამგზავრო დოკუმენტის ასლი; გ) საქართველოში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; დ) ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი; ე) უცხოელის და/ან საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში ბინადრობის უფლებისმქონე მისი ნათესავის საქართველოში ლეგალური შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. შემოსავლად, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს უცხოელის პირად საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა, რომლის ოდენობაც, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ყოველთვიურად არ უნდა იყოს საქართველოში განსაზღვრულ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორჯერად ოდენობაზე ნაკლები; ვ) ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3/4, ელექტრონული ფორმით; ზ) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>98</sup> მთავარ სადაცო საკითხს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით. პალატამ განმარტა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ მე-15 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ოჯახის წევრებზე, ბინადრობის ნებართვის გაცემით, უცხოელი მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობას, ხოლო სახელმწიფო კისრულობს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე.

პალატამ აღნიშნა, რომ სააგენტოს არ დაუსაბუთებია ოჯახის გაერთიანების მიზნით, ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სათანადო საფუძვლების არსებობა. საქმის მასალებით, დადგენილია, რომ მოსარჩელის შვილი უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ინგლისურნოვანი პროგრამის სტუდენტია და ფლობს საქართველოში სასწავლო ბინადრობის ნებართვას 2023 წლის 28 ივნისამდე. პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლოა დასჭირდეს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გარკვეული ინფორმაციისა და მონაცემების გამოთხვა, თუმცა ეს არ გულისხმობს საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებად იმ ორგანოს მიჩნევას.

<sup>98</sup> სუსგ №პს-187(კ-23), 31.05.23.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის განმარტებები რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, თუმცა არ გამოირიცხება სააგენტოს, როგორც უცხოელისათვის ოჯახის გაერთიანების მიზნით, ბინადრობის მინიჭების საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრებების გაზიარებაზე უარის თქმა ან მათი გაზიარების მიუხედავად, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით, გადაწყვეტილების კერძო ინტერესების სასარგებლოდ მიღება.

სხვა საქმეზე,<sup>99</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ბინადრობის მაძიებელი პირის შვილის სახელზე დასტურდება სასწავლო ბინადრობის ნებართვის გაცემა, ამასთანავე, იგი არის ნასამართლევი.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოში წარდგენილი საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატორილ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საფუძვლიან ვარაუდს, რომ მოსარჩევე საფრთხეს უქმნიდა საქართველოს უსაფრთხოებას. პალატამ დაადგინა, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობის პირობებში, სასარჩევო მოთხოვნა მოსარჩევისთვის ოჯახის გაერთიანების მიზნით, ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე, საფუძვლიანი იყო.

სხვა დავაზე,<sup>100</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სამართალწარმოება ემსახურებოდა იმის გამორკვევას, მოსარჩელისთვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება, რამეთუ მოსარჩელის მეუღლეზე მუდმივი ცხოვრების უფლებით ბინადრობის ნებართვის გაცემის ფაქტი, იმთავითვე არ ქმნიდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელეზე ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის ვალდებულებას, რამდენადაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად.

პალატამ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე ლუჟსა რუმინეთის წინააღმდეგ.<sup>101</sup> აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩინეთის რუმინეთის ტერიტორიაზე

<sup>99</sup> სუსგ №ბს-30(კ-23), 09.03.23.

<sup>100</sup> სუსგ №ბს-1283(კ-22), 15.06.23.

<sup>101</sup> Lupsa v. Romania, №10337/04, 08.06.2006.

ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძვებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას.“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება, განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა როგორია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს, რომ სადაცო ღონისძიება ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს დამოკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია.

საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი ინფორმაციის/მასალების გაცნობის საფუძველზე მიიჩნია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის არსებობის პირობებში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, რადგან საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია „უცხოელთა და მოქალაქეობის არქონე პირთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქმნიდა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>102</sup> საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა ისეთი გარემოებების არსებობა, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიმართ საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით, ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელისთვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

სხვა საქმეზე,<sup>103</sup> მოსარჩელემ მიუთითა ოჯახის ერთიანობის პრინციპის დარღვევაზე, ხოლო საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში,

<sup>102</sup> სუსგ №ბს-1230(კ-22), 22.02.23.

<sup>103</sup> სუსგ №ბს-815(კ-19), 16.04.20.

აღნიშნული პრინციპის გამოყენებით, შეიზღუდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თაობაზე ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლით.

ოჯახური ცხოვრების პატივისცემის პრინციპთან დაკავშირებულ დავაზე,<sup>104</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოსარჩევის სახელზე ერთხელ უკვე იყო გაცემული ბინადრობის ნებართვა და განმარტა, რომ ოჯახის ერთიანობის დაცვის საჭიროება იმთავითვე არ წარმოშობს სახელმწიფოს მიერ რომელიმე კონკრეტული სახის ბინადრობის მოწმობის გაცემის ვალდებულებას და ბინადრობის ნებართვის ერთხელ გაცემა იმთავითვე არ გულისხმობს უცხოელის ყოველი შემდგომი მოთხოვნის დაკავილების სავალდებულობას, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ როდესაც სახელმწიფო უცხოელს ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლებას აძლევს, ამით სახელმწიფო უშვებს უცხოელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის, მის მიერ ურთიერთობების დამყარებისა და მათ შორის, ოჯახის შექმნის შესაძლებლობას. აღნიშნული არ ავალდებულებს სახელმწიფოს მუდმივად აცხოვროს ასეთ ურთიერთობებში მყოფი უცხოელი თავის ტერიტორიაზე და მსგავს სიტუაციაში ადამიანებს ზოგადად, არ უნდა ჰქონდეთ ბინადრობის ნებართვის მიღების მოლოდინი. თუმცა, სახელმწიფოს მიღები კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით უნდა დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში საქმეში დაცული მასალებიდან არ იკვეთებოდა დაპირისპირებულ ინტერესთა პროპორციულობის შეფასება, არ ხდებოდა ასევე, ისეთ გარემოებებზე მითითება, რომლებიც არ არსებობდა მოსარჩევის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემისას და შემდგომ პერიოდში წარმოიშვა, ხოლო თუ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ მითითებული გარემოებები მოსარჩევის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემის დროსაც არსებობდა, მაშინ გაურკვეველია ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებების პირობებში ერთ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილად, ხოლო მეორე შემთხვევაში — მიზანშეუწონლად მიჩნევის დასაბუთება.

## ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება

ბავშვის საუკეთესო ინტერესი არის ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, ზნეობრივი და სხვა სახის ინტერესები, რომლებიც პრიორიტეტულადაა განსაზღვრული საქართველოს

<sup>104</sup> სუსგ №ბს-631(ქ021), 06.04.23.

კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კოდექსის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა თუ საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლების პატივისცემას, ცხოვრობდეს მშობელთან ერთად. არასრულწლოვანთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის სამართლებრივი მოწესრიგებისას, არსებითად მნიშვნელოვანია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის გამოვლენილ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, ვინაიდან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შინაარსის განმსაზღვრელ არსებით გარემოებას.

არასრულწლოვანთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის სამართლებრივი მოწესრიგებისას, არსებითად მნიშვნელოვანია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის გამოვლენილ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, ვინაიდან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შინაარსის განმსაზღვრელ არსებით გარემოებას. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვეციითა გათვალისწინებული. ამავე კონვენციის მე-3 მუხლის პირველი და მეორე ნაწილის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, აღმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკათ უზრუნველყოფას.

არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, გათვალისწინებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. „ბავშვთა უფლებათა კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას. ზემოაღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, ბავშვის უფლებებზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული, ხოლო

ქმედება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე.

„ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.<sup>105</sup> კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა უნდა გამართლდეს უკიდურესი სოციალური საჭიროებით და იყოს მისაღწევი მიზნის თანაზომიერი.<sup>106</sup>

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>107</sup> საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე განცხადების წარდგენის მომენტისთვის, მოსარჩევეს არ გააჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის 40 კალენდარული დღის დამადასტურებელი დოკუმენტი. კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი საქმე ხასიათდება თავისი სპეციფიკურობით, კერძოდ, საკითხი ეხება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ამდენად, იმ პირობებში, რომ დედა ცხოვრობს და მუშაობს საქართველოში და თავის არასრულწლოვან შვილს, რომელიც სომხეთის მოქალაქეა, მხოლოდ იმიტომ ეზღუდება დედასთან თანაცხოვრების მიზნის მისაღწევად ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ განცხადების განხილვის უფლება, რომ მისი მოთხოვნა პროცედურის დაუცველობაზე მითითებით განუხილველი დარჩა, ცდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის ვალდებულებას. საქმის მასალებით ირკვევა, რომ დედას აქვს მუდმივი ბინადრობის ნებართვა და დასაქმებულია ერთ-ერთ შპს-ში მენეჯერის თანამდებობაზე. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა მოეხდინა არასრულწლოვანი მოსარჩევისა და მისი ოჯახის წევრების განსაკუთრებით, მისი მშობლის ინტერესების იდენტიფიცირება და შემდგომში მათი საჯარო ინტერესთან შეპირისპირება.

<sup>105</sup> სუსგ №ას-458-440-2016, 15.07.2016.

<sup>106</sup>. „Boughanemi v. France“ (§41), 24.04.1996.

<sup>107</sup> სუსგ #bs-812(k-22), 16.05.23.

ამასთან, სათანადოდ უნდა დაედგინა საჯარო ინტერესთა არსებობაც, უნდა დადგენილიყო არსებულ საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსი. ამდენად, დაუშვებელია, სახელმწიფომ უარი თქვას არასრულწლოვანისათვის მშობელთან ერთად ცხოვრების უფლების საკითხის განხილვაზე, მხოლოდ პროცედურის დაუცველობაზე მითითებით.

მეორე საქმეზე,<sup>108</sup> საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა მოეხდინა არასრულწლოვანი მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების განსაკუთრებით, მისი მშობლის ინტერესების იდენტიფიცირება და შემდგომში მათი საჯარო ინტერესთან შეპირისპირება. პალატამ განმარტა, რომ არასრულწლოვანთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის სამართლებრივი მოწესრიგებისას, არსებითად მნიშვნელოვანია ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის გამოვლინდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესი მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, ვინაიდან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შინაარსის განმსაზღვრელ არსებით გარემოებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესი არის ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, ზნეობრივი და სხვა სახის ინტერესები, რომლებიც პრიორიტეტულადაა განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კოდექსის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა თუ საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლების პატივისცემას, ცხოვრობდეს მშობელთან ერთად.

## მუდმივი ბინადრობის ნებართვა

**საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლებით გაიცემა შემდეგი სახის ბინადრობის ნებართვები:**

მუდმივი ცხოვრების ნებართვა – გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით

<sup>108</sup> სუსგ №ბს-812(კ-22), 16.05.23.

ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი;

უვადო ბინადრობის ნებართვა – გაიცემა 300 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების საფუძველზე გაცემული საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე იმ უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე, რომელსაც უდასტურდება საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობიდან პირველი წლის განმავლობაში არანაკლებ, 50 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის წლიური ბრუნვა, მეორე წლის განმავლობაში – არანაკლებ, 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის წლიური ბრუნვა, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე წლების განმავლობაში – არანაკლებ, 120 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის წლიური ბრუნვა ან 300 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტზე მეტი ღირებულების უძრავი ნივთის საკუთრებაში ქონის საფუძველზე გაცემული საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე იმ უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე, რომელსაც საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 5 წლის განმავლობაში აქვს ამ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>109</sup> სადაც საკითხს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად და უპირატესობა მართებულად მიენიჭა საჯარო – სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზანს. პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულება, ჩაატარა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება და საქმის მასალების გამოკვლევისა და შეფასების შედეგ, სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, სზაკ-ის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, რაც გამორიცხავდა სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადაც აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი აქტის გამოცემის დავალების შესაძლებლობას.

<sup>109</sup> სუსგ №ბს-1241(ქ-23), 20.03.24; ანალოგიურია №ბს-1221(ქ-23) 20.03.24; №ბს-904(ქ-22), 30.11.22; №ბს-898(ქ-22), 27.12. 2022; №ბს-1056(ქ-22), 27.12.22

სხვა საქმეზე,<sup>110</sup> ირანის მოქალაქემ, რომელიც არის ფერეიდანელი ქართველი, მიმართა თხოვნით მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე და მიუთითა, რომ არ არის ნასამართლევი და არ ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. ამასთან, რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, აღმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, საიდანაც წერილით ეცნობა მოსარჩელისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი კანონიერია და მოპასუხე აღმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.<sup>111</sup> პალატამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად და უპირატესობა მართებულად მიენიჭა საჯარო – სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზანს.

მუდმივი ბინადრომის გაცემაზე უარის თქმის შესახებ აქტის კანონიერებასთან დაკავშირებულ სხვა დავაზე<sup>112</sup> საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ამრიგად, უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციაში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ისეთი გარემოების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისია პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისთვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ

<sup>110</sup> სუსგ №ბს-1221(კ-23), 20.03.24;

<sup>111</sup> სასკ-ის 20<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ზასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს.

<sup>112</sup> სუსგ №ბს-1057(კ-22), 27.12.22

აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა მისი დამატებითი კვლევა და სხვა გარემოებებთან ერთობლივი ანალიზი.

მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერებასთან დაკავშირებულ დავაზე<sup>113</sup> შესაფასებელი იყო ადმინისტრაციული აქტის კანონიერება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით. საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დღევანდელი მოცემულობით დასტურდება, რომ მოსარჩელესა და მის მეუღლეს ჰყავთ საერთო შვილი, რომელიც დაიბადა საქართველოში და საქართველოს მოქალაქეა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო აქტი და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, სრულად ვერ აქარწყლებდა და პასუხობდა კასატორის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, მისი ოჯახის ერთიანობის და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომ მხედველობაში არ მიუღია და არ გაუთვალისწინებია მოსარჩელის მეუღლის არსებობა, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა აპელანტი სააპელაციო საჩივარში პირდაპირ მიუთითებდა, რომ ის და მისი მეუღლე ელოდებოდნენ შვილს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ერთმანეთთან არ შეუპირისპირებია, ერთი მხრივ, მოსარჩელის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნებისათვის მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის აუცილებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სადავო გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლომ ხელახალი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, მოსარჩელის ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვით.

<sup>113</sup> სუსგ №ბს-1243(პ-22), 20.02.23.

ანალოგიური კატეგორიის დავაზე,<sup>114</sup> საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში იზღუდება უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, ვინაიდან იგი ვალდებული იქნება გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე, დატოვოს საქართველო. თუმცა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში. პალატამ განმარტა, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. შესაბამისად, როდესაც ინტერესების დაპირისპირება გარდაუვალია, მნიშვნელოვანია მათი პარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>115</sup> საკასაციო სასამართლომ განმარტა: იმ პირობებშიც კი, როდესაც დადასტურებულია, რომ მოსარჩევეს ჰყავს მეუღლე და შვილი, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, სასამართლოს მიერ გამოკვლეულ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია არ საჭიროებს დამატებით კვლევას და საკმარისია იმისთვის, რომ ამ შემთხვევაში, ფიზიკური პირის კერძო ინტერესთან მიმართებით, პრიორიტეტი მიენიჭოს საჯარო ინტერესს. ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დადასტურდეს ნორმითვე გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოში უცხოელის ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა. პალატამ აღნიშნა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრება ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ არ არის საკმარისი, მისი მოსაზრება სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების გათვალისწინებით, ასეთი დასაბუთება იკვეთება. გაეცნო რა, კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი მართებულია.

<sup>114</sup> სუსგ №ბს-1020(კ-23), 06.02.24.

<sup>115</sup> სუსგ №ბს-511(კ-23), 14.12.23.

სხვა საქმეზე,<sup>116</sup> საკასაციო პალატა გაეცნო კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს და მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი არ იყო სათანადოდ დასაბუთებული. პალატის განმარტებით, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება არ უნდა ღახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს, არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს შესაბამისად, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემისას, ყოველთვის არსებობს საჯარო ინტერესი, რომლის დაცვის საჭიროებაზე მითითებაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, თუმცა, რომელიმე საჯარო ინტერესზე აპსტრაქტული მითითება როგორც წესი, არ ქმნის უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სათანადო, თვითკმარ დასაბუთებას, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ ინტერესს უცხოელის და მისი ოჯახის წევრთა კერძო ინტერესი უპირისპირდება. ის, რომ სადაც აქტი კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფით მოსაზრებას ეყრდნობა, რომელიც თავის მხრივ, საიდუმლო ინფორმაციის დამუშავების შედეგად არის ჩამოყალიბებული, არ გამორიცხავს კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის შესახებ მსჯელობის გარკვეული მოცულობის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახვის საჭიროებას. პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს ჰქონდა სრული შესაძლებლობა საქმეში დაცული ღია მასალების საფუძველზე განესაზღვრა მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების კერძო ინტერესები, მათი დაცულობის ხარისხი და უზრუნველყოფის საჭიროება და ამ კუთხით არსებული მსჯელობა მაინც აესახა გადაწყვეტილებაში.

მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი თქმის კანონიერებასთან დაკავშირებულ დავაზე<sup>117</sup> საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 9 აპრილის წერილობითი პასუხი მოსარჩელისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე, წარმოადგენს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეყნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად და რასაც სათანადოობის, საკმარისობის, პრიორიტეტულობისა და, საბოლოოდ, გაზიარების თვალსაზრისით, მისი შინაარსის გათვალისწინებით, გააჩნია არსებითი ხასიათის მტკიცებულებითი ძალა. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი კანონიერია და

<sup>116</sup> სუსგ №ბს-631(კ-21), 06.04.23.

<sup>117</sup> სუსგ № ბს-199(კ-23), 07.06.23.

მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

ერთ-ერთ საქმეზე<sup>118</sup> სადაც საკითხს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისთვის მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით. ამასთან, შესაფასებელი იყო დისკრიმინაციული მოპყრობისა და მისგან გამომდინარე, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობების არსებობა. პალატის განმარტებით, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა არ უნდა მოხდეს სახელმწიფოს ინტერესების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფის ხარჯზე. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, ერთმანეთს შეუპირისპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება ბინადრობის ნებართვის გაცემის თუ ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგნენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით. პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი უკავშირდებოდა მხოლოდ კონტრდაზვერვის ინფორმაციაზე მითითებას და არა მოსარჩელის რასობრივ, ეთნიკურ ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციას. ამდენად, დისკრიმინაციული მოპყრობის დაუდასტურებლობის პირობებში, უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც.

## უვადო ბინადრობის ნებართვა

უვადო ბინადრობის ნებართვა – გაიცემა 300 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების საფუძველზე გაცემული საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე იმ უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე, რომელსაც უდასტურდება საქართველოში განხორციელებული

<sup>118</sup> სუსგ №ბს-747(კ-22), 10.01.23.

სამეწარმეო საქმიანობიდან პირველი წლის განმავლობაში არანაკლებ, 50 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის წლიური ბრუნვა, მეორე წლის განმავლობაში – არანაკლებ, 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის წლიური ბრუნვა, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე წლების განმავლობაში – არანაკლებ, 120 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტის წლიური ბრუნვა ან 300 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტზე მეტი ღირებულების უძრავი ნივთის საკუთრებაში ქონის საფუძველზე გაცემული საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე იმ უცხოელზე და მისი ოჯახის წევრებზე, რომელსაც საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მიღებიდან 5 წლის განმავლობაში აქვს ამ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება.

უვადო ბინადრობის მიზნებისთვის ოჯახის წევრებად ითვლებიან: მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და უცხოელის სრულ კმაყოფაზე მყოფი მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი, აგრეთვე უცხოელის სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ არის ცნობილი.

## მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა

მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვა – გაიცემა პირზე, რომელსაც საქართველოში დაუდგინდება მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი.<sup>119</sup> მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლით ან 1993 წლის 31 მარტისთვის მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში, საქართველოს მოქალაქედ არ ჩაითვალა და 1993 წლის 31 მარტის შემდეგ არ მოხსნილა საქართველოში მუდმივი რეგისტრაციიდან, ბინადრობის ნებართვა გაიცემა მუდმივი ცხოვრების უფლებით. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პირზე, რომელსაც საქართველოში დაუდგინდება მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი, ბინადრობის ნებართვა გაიცემა 3 წლის ვადით, რომლის გაგრძელება შესაძლებელია იმავე ვადითა და იმავე პირობით, შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 10 დღის ვადაში. საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის ბინადრობის ნებართვის გაგრძელების შემთხვევაში, არ ხდება

<sup>119</sup> მოქალაქეობის არმქონე პირი – პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გადამოწმება და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე არ ვრცელდება ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება, რომლის თანახმად, პირი ვალდებულია, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, სააგენტოს მიმართოს საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე.

## პირითადი მიგნებები:

- საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს, არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს;
- უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური, თანმიმდევრული, უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.
- საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.
- საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, მათ შორის, საქართველოს მოქალაქესთან დაჯახებისას, არ არის აბსოლუტური უფლება. სათანადო საფუძვლების არსებობისას, აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ამ მიმართულებით სახელმწიფოს

შეფასების ფართო ფარგლები აქვს მით უფრო მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხი დგას.

- ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და არა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომლის დასკვნაც არის სააგენტოს გადაწყვეტილების განმსაზღვრელი ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი, დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივ შედეგს იწვევს არა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა, არამედ საქმის გარემოებების გამოკლვევის, მათ შორის აღნიშნული დასკვნის შეფასების შედეგად სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
- წარსულში უცხოელის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემა იმთავითვე არ გულისხმობს უცხოელის ყოველი შემდგომი მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულობას.
- სასამართლო აფასებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს მისი შინაგანი რწმენით, აღწერილი საფრთხის რეალიზების აღბათობის შეფასებით, დასკვნის დასაბუთებულობის, გონივრულობისა და სანდოობის შემოწმებით, აგრეთვე საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით.
- იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემები და დასკვნები იმთავითვე გამორიცხავს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობის, აღწერილი საფრთხის რეალიზების საკმარისი აღბათობის, განვითარებული მსჯელობის გონივრულობისა და სარწმუნოობის გამო.
- მაშინ, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაცია პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სათანადოდ ასაბუთებს, არ გამოირიცხება კერძო და საჯარო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების საჭიროება, თუმცა ასეთ დროს კერძო ინტერესი უკან იხევს, რადგან კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სათანადოდ

დასაბუთებული დასკვნა ცხადყოფს საჯარო ინტერესის  
პრიორიტეტულობას.

- სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება. კერძოდ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით განხორციელება.
- ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების არსებობა, ერთმნიშვნელოვნად არ განაპირობებს მისი გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას.
- სასამართლო იცავს რა, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა. უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას.
- თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას, შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები.
- ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბინადრობის ნებართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტისას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეისწავლოს საქმის გარემოებები, შეაპიროს სპიროს საჯარო და კერძო ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება.

- საჯარო და კერძო ინტერესების სათანადოდ იდენტიფიცირება და მათ პროპორციულობაზე მსჯელობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დავებში, სადაც არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის საჭიროება იკვეთება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, ოჯახის ერთიანობა უცხოელის საქართველოში შემოსვლის, ყოფნის ერთ-ერთი პრინციპთაგანია.
- უცხოელის საქართველოში შემოსვლა, ყოფნა, ტრანზიტით გავლა და საქართველოდან გასვლა რეგულირდება შემდეგი პრინციპებით:
  - ა) ნაცვალგების პრინციპი,
  - ბ) ოჯახის ერთიანობის პრინციპი,
  - გ) დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი,
  - დ) არგაძევების პრინციპი,
  - ე) ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი.
- კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- ვინაიდან საქმეზე გამოთხოვილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მისი შინაარსი მხარეებს გააცნოს და სასამართლო გადაწყვეტილებაში ასეხოს.
- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული სადაცო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება პროპორციულობის პრინციპის რომელიმე საფეხურის მოთხოვნას (კანონიერი მიზანი, შესაფერისობა/გამოსადევობა, აუცილებლობა (პროპორციულობა ფართო გაგებით), თანაზომიერება (პროპორციულობა ვიწრო გაგებით)), ექვემდებარება ბათილად ცნობას სასკ-ის 32-ე მუხლის საფუძველზე.

